საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/529
01/02/2023

529-21-2-202302010951

ი/მ რევაზ ჯანჯღავას
მის: ქ. ქუთაისი, გამსახურდიას ქ.№5, ბ.№6
ელ. ფოსტა: marine_duduchava@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6208 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში ნავთობპროდუქტების საცავის (გაზგასამართი სადგურის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი shp ფაილები, მიწის ნაკვეთის ს/კ: (44.04.28.551) და საპროექტო ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები: (X - 265609, Y - 4686975; X - 265621, Y - 4686953; X - 265597, Y - 4686942; X - 265584, Y - 4686962) ურთიერთშეუსაბამოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას.
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურის განთავსების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-4 თავში აღნიშნულია, რომ ავტოგასამართ სადგურზე მოეწყობა ერთი გასამართი სვეტი. ამასთან, სურათი 4.4-ისა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი ერთეული საწვავმარიგებელი სვეტი. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-6 თავში აღნიშნულია, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია საოპერატოროს უკან მოწყობილ საასენიზაციო ორმოში. ამასთან, ამავე თავში მითითებულია, რომ ავტოსამრეცხაოსა და ტექნოლოგიური მოედნის ჩანარეცხი წყლისათვის გათვალისწინებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობების მოწყობა, რომელშიც ჩამდინარე წყლები ჩაედინება, ხოლო გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება

არსებულ სანიაღვრე არხში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო